PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „ბარაკონში“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ქეთევან ჭუჭულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბარაკონი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

2022 წლის 16 მარტის MES 4 22 0000267334 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრი: ქეთევან ჭუჭულაშვილი) დაევალა შპს ბარაკონის მიერ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) და გ.ბ) კომპონენტების შემოწმების მიზნით 2022 წლის 23 მარტს არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება.

მონიტორინგის საფუძველი გახლდათ მოქალაქის თ. ე. განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მას თანხის გადაუხდელობის გამო შეუწყდა (მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროგრამა) პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ისე რომ კოლეჯმა ვერ უზრუნველყო მისი ინფორმირებულობა თანხის გადახდის ბოლო ვადასთან და ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა ხორციელდებოდა მილევად რეჟიმში და მისი განხორციელების ბოლო ვადა 31 დეკემბერი იყო. მისივე განცხადებით იგი სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გარეშე ჩაირიცხა 2018 წელს „კოლეჯ ბარაკონში“ პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამაზე, დირექტორთან შეთანხმებით გაიარა მხოლოდ თეორიული საგნები, რამდენადაც პრაქტიკული კომპონენტის გავლას არ საჭიროებდა. როგორც იგი აღნიშნავს, მან ასევე მიიღო შეთავაზება კოლეჯის დირექტორისგან სწავლების საფასურის თვიურად გადახდასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, გადაუხდელობის გამო მას შეუჩერდა სტატუსი, რომელიც გარკვეული თანხის გადახდის შემდგომ აღუდგა. მისი განცხადებით საერთო ჯამში გადაიხადა 4300 ნაცვლად 5100 ლარისა. 2022 წლის 25 თებერვალს მან გადაწყვიტა დაეფარა დარჩენილი თანხა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ შეწყვეტილი ჰქონდა სტატუსი და ვეღარ აიღებდა დიპლომს. მისივე მოთხოვნაზე, ამავე დღეს, პირადი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება ჩარიცხვის თაობაზე და სტატუსის შეწყვეტის ბრძანება) მიღებასთან დაკავშირებით მან კოლეჯისგან უარი მიიღო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საკითხის უკეთ გასაცნობად, ექსპერტების მიერ, შესწავლილ იქნა მოქალაქე [redacted] პირადი საქმე, მათ შორის: ხელშეკრულება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების ბრძანება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანება შესაბამისი საფუძვლებით; შეწყვეტის ბრძანების გამოქვეყნების დროს მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; მტკიცებულებები, რითიც დასტურდება დაწესებულების მხრიდან [redacted] შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა; მტკიცებულებები, რითიც დასტურდება, რომ თამარ ეჯიბიასთან დაწესებულებას ჰქონდა კომუნიკაცია და ხდებოდა მისი ინფორმირება; უწყისები და სხვა მტკიცებულებები, რითიც დასტურდება თამარ ეჯიბიას სწავლებისა და შეფასების პროცესი.

ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელდა შესაბამისი ინტერვიუები, როგორც კოლეჯის დირექტორთან, მის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, მოქმედ სტუდენტებთან და ასევე თავად ზემოხსენებულ მოქალაქესთან.

საკითხის შესწავლის შედეგები წარმოდგენილია დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		სრულად შეესაბამება

შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან 3.1 კომპონენტი შეფასდა „შეუსაბამოდ“ მე-3 სტანდარტი არის „შეუსაბამო“ სტანდარტის მოთხოვნაბთან.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

3.1.1.1 ინდიკატორი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- **მოქალაქეს თ.ე. ფინანსური დავალიანების მიუხედავად არ შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რითაც დაირღვა კოლეჯ „ბარაკონის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის - მუხლი 4.- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება - .პუნქტი 2 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: ბ) ფინანსური დავალიანება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული დადგენილი ვადიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობა 3 თვის განმავლობაში;**
- მოქალაქე თ.ე.-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 16 თებერვალს, რითაც, დაირღვა **კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ვადები და კერძოდ: მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, რომელიც განმარტავს** - 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან ორკვირიანი ვადის გასვლა.

  აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა დასრულდა 9 ივლისს და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდა 29 ივლისს {მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული კვალიფიკაცია კოლეჯის წესდების მე-6 მუხლის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, მე-6 პუნქტის საფუძველზე, მიენიჭა 15 პროფესიულ სტუდენტს. დირექტორის ბრძანება N49, 29.07.2021}, ხოლო მოქალაქე თ.ე.-ს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 16 თებერვალს. კოლეჯმა წარმოადგინა ამონაწერი evet .ge დან, რომლითაც ასევე დასტურდება, მოქალაქისთვის სტატუსის შეწყვეტის თარიღი. **პროგრამის დასრულებიდან მოქალაქე თ.ე.-სთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე გასულია 7 თვე.**

  რამდენადაც პროგრამა, რომელზეც მოქალაქე თ.ე. სწავლობდა წარმოადგენდა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, დაირღვა ასევე პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1^2 პუნქტი (კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უფლებამოსილია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არ არის, ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები ამ პროგრამაზე).

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებებში არის ჩანაწერი, რომ ისინი დოკუმენტზე ხელმოწერამდე უნდა გაეცნონ მარეგულირებელ დოკუმენტებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელს. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია უფრო ნათელი გახდეს ჩანაწერი და დაკონკრეტდეს რომელ დოკუმენტებზეა საუბარი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. **პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

შპს „ბარაკონში“ პროფესიული სტუდენტის უფლებების დასაცავად და გარანტიების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია კანონმდებლობასთან შესაბამისი წესები, რომლებიც თავმოყრილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №54/12.08.2021) **და სასწავლო შინაგანაწესში** (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №111/08.12.2021). ამ წესებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, განმეორებითი შეფასების, გასაჩივრების, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში დასრულების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსითა თუ სივრცეებით სარგებლობის, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის და სხვა პროცედურები.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი რეგულაციები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტებისათვის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით, მინიჭებულ ყველა უფლებას და გარანტიებს. მარეგულირებელი დოკუმენტებში მკაფიოდ და ნათლად არის წარმოდგენილი ყველა წესი და მათი ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და facebook გვერდზე, ისევე როგორც პროფესიული სტუდენტების დახურულ ჯგუფებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების მიერ, მოქალაქე თ.ე.-ს (რომელმაც განცხადებით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კოლეჯ „ბარაკონის“ მიერ, მისი უფლებების დარღვევასთან და კერძოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით), კონკრეტული საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა კოლეჯის მიერ საკუთარი მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დოკუმენტებით განსაზღვრული რიგი წესების შეუსრულებლობის შემთხვევები. კერძოდ: მოქალაქე თ.ე. თავის განცხადებაში აღნიშნავს იმის შესახებ, რომ მას სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და გარკვეული თანხის შეტანის შემდგომ პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღუდგა. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. კოლეჯმა „არ შეჩერების“ შესახებ გადაწყვეტილება დაასაბუთა იმ მოტივით, რომ პროგრამა მილევად რეჟიმში ხორციელდებოდა და 2021 წლის დეკემბრის ბოლოს სრულად უნდა დასრულებულიყო, შესაბამისად მოქალაქე ვერ შეძლებდა სასურველი კრედიტების დაგროვებას. დოკუმენტურად დამტკიცდა ისიც, რომ მოქალაქე თ.ე.-ს არ გადაუხდია მეორე სასწავლო წლის ნაწილი და მესამე სასწავლო წელი სრულად, რაც მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების სრულ საფუძველს წარმოადგენდა და რითაც დაირღვა კოლეჯის სასწავლო შინაგანაწესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი. კერძოდ, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დ) არსებობის შემთხვევაში, დროულად და შესაბამის საბანკო ანგარიშზე კოლეჯის მიერ დადგენილი გრაფიკით, გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე სხვა ფინანსური დავალიანება და კოლეჯს დაუყოვნებლივ წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ წესის გაგრძელება იკითხება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში - მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, სადაც მეორე პუნქტი განმარტავს, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: ბ) ფინანსური დავალიანება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული დადგენილი ვადიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობა 3 თვის განმავლობაში. ყოველივე ზემოთქმულიდან დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის არ შეჩერებით **<u>კოლეჯმა დაარღვია საკუთარი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სასწავლო შინაგანაწესით განსაზღვრული წესები.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა ასევე, რომ მოქალაქე თ.ე.-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 16 თებერვალს, რითაც, ასევე, დაირღვა **კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ვადები და კერძოდ: მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, რომელიც განმარტავს** - 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან ორკვირიანი ვადის გასვლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა დასრულდა 9 ივლისს და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდა 29 ივლისს {მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული კვალიფიკაცია კოლეჯის წესდების მე-6 მუხლის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, მე-6 პუნქტის საფუძველზე, მიენიჭა 15 პროფესიულ სტუდენტს **(დანართი №1**). დირექტორის ბრძანება N49, 29.07.2021}, ხოლო მოქალაქე თ.ე.-ს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 16 თებერვალს **(დანართი №2).** კოლეჯმა წარმოადგინა ამონაწერი evet.ge დან **(დანართი №3)** რომლითაც ასევე დასტურდება, მოქალაქისთვის სტატუსის შეწყვეტის თარიღი. **პროგრამის დასრულებიდან მოქალაქე თ.ე.-სთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე გასულია 7 თვე.**

რამდენადაც პროგრამა, რომელზეც მოქალაქე თ.ე. სწავლობდა წარმოადგენდა მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, დაირღვა ასევე პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1^2 პუნქტი (კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არ არის, ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები ამ პროგრამაზე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით და შერჩევითი პრინციპით სხვა სტუდენტების საქმეების გაცნობის შედეგებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში შექმნილი შიდა რეგულაციები სრულად ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვას და გარანტიების უზრუნველყოფას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მოქალაქე თ. -ს მიმართ დარღვეულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესები.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

კოლეჯ „ბარაკონის“ მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს: თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები; მოითხოვონ სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო; ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მოითხოვონ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; მოითხოვონ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; მიიღონ ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ; მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება და სხვა.

პროფესიულ სტუდენტთა განმარტებით, კოლეჯის წარმომადგენლებმა, პირველსავე სასწავლო დღეს გააცნეს მათ „სასწავლო შინაგანაწესით“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით“ განსაზღვრულ წესები, შესაბამისი რეგულაციები და მათი უფლება/მოვალეობები. გააცნეს ასევე კოლეჯის ვებგვერდი და facebook გვერდი და გააერთიანეს ისინი დახურულ ჯგუფებში. პროფესიულ სტუდენტთა განმარტებით ყველა ამ გვერდზე ატვირთულია სასწავლო შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მარეგულირებელი წესი, ასევე, ამავე დახურულ ჯგუფებში ისინი იღებენ მათთვის ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებს მეცადინეობის განრიგის, შეფასების ინსტრუმენტების თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

რაც შეეხება მოქალაქე თ.ე.-ს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ინფორმირებული არ იყო პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელებათან და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესთან დაკავშირებით, ექსპერტთა მოკვლევით არ დასტურდება, რამდენადაც კოლეჯის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდის და facebook -ის ეკრანის სტატიკური გამოსახულებები "Screenshot", რომელზე გარკვევით ჩანს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მილევად რეჟიმში ხორციელდებოდა. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ მოქალაქე თ.ე.-ს ჯგუფის 15 პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია ვადების დაცვით 2021 წლის 29 ივლისს და მოიპოვა შესაბამისი დიპლომი. ექპერტთა ჯგუფის მიერ, შერჩევითი პრინციპით, განხორციელდა სატელეფონო ზარი პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთან რ.შ.-სთან, რომელმაც დაადასტურა, რომ კოლეჯი მუდმივად აწვდიდა მათ ინფორმაციას სწავლებასთან და მათ უფლება/მოვალეობებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა მოსაზრებით, ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წარმოდგენილ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში“ მკაფიოდ და ნათლად არის წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იცნობენ ამ დოკუმენტს და იციან საკუთარი უფლებებიც. მტკიცებულების სახით კოლეჯმა წარმოადგინა შეფასების ფურცლები, რომლებიც სრულად შეესაბამება არსებულ წესებს. წარმოდგენილ იქნა ასევე დაახლოებით 30 სტუდენტის სხვადასხვა დროს დაწერილი განცხადებები მოდულების განმეორებით დადასტურების შესახებ და ასევე დირექტორის ბრძანებები მოდულების განმეორებითი შეფასებისათვის ვადების განსაზღვრის შესახებ: №15 - 09/03/2022; №21 - 22/03/2022; №14 - 09/03/2022; №20 -22/03/2022; - რაც ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულები არიან **შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ საკუთარი უფლებებით.**

რაც შეეხება მოქალაქე თ.ე.-ს საქმეს, უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქის განმარტება, იმასთან დაკავშირებით, რომ მას შეუწყდა სტატუსი მხოლოდ ფინანსური დავალიანების გამო, არ შეესაბამება სიმართლეს, რამდენადაც წარმოდგენილი შეფასების უწყისების **(დანართი №4; დანართი №5; დანართი №6)** თანახმად, მას არც 2020 წელს და ასევე 2021 წელს არ გაუვლია მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ და მის გრაფაში არის ჩანაწერი „არ გამოცხადდა“. შესაბამისად მას ვერ მიენიჭებოდა კვალიფიკაცია. რაც რეგულირდებოდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით - თავი III, მუხლი 19 - **პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების სააფუძველია მის მიერ შესაბამისი პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამით დადგენილი კომპეტენციების ათვისება, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტები გავეცანით შეფასების ყველა უწყისს 2019 წლიდან, რომლებიც ადასტურებენ მოქალაქე თ. ე.-ს მიერ გავლილი მოდულების შედეგებს, სადაც ჩანს, რომ მოქალაქემ ვერ დააგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები (150 კრედიტის ნაცვლად დააგროვა მხოლოდ 110 კრედიტი, რამდენადაც პრაქტიკულ კომპონენტზე 150 კრედიტიდან 60 კრედიტი იყო განსაზღვრული):

2019

2/5 2019 ბავშვთა დაავადებები; 3/5 1019 ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგიით; 11/4 2019 ჰიგიენა; 14/05 2019 ინგლისური ენა; 08/04/2019 საქმიანი ურთიერთობების კულტურა; 3/05.2019 სამედიცინო ბიოლოგია; 01.05.2019 ავადმყოფის მოვლა; 12/04/2019 პირველადი სამედიცინო დახმარება; 29/08 2019 ფიზიოთერაპია; 2/08/2019 <u>საწარმოო პრაქტიკა 1 საკმარისია;</u>

<u>2020</u>

- 26/02/2020 სამედიცინო ეთიკა; 24/02/2020 ინტენსიური თერაპია, რეანიმაცია; 06/02/2020 დერმატოლოგია; 22/02/2020 შინაგანი სნეულებანი; 10/02/2020 კომპიუტერის საბაზისო კურსი; 26/12/2019 ინფექციური დაავადებები; 20/10/2020 <u>საწარმოო პრაქტიკა 2 **არ გამოცხადდა;**</u>

2021

- 01/04/2021 მეანობა-გინეკოლოგია; 03/07/2021 საწარმოო <u>პრაქტიკა 3 **არ გამოცხადდა;**</u> 05/04/2021 ონკოლოგია; 06/04/2021 პალიატიური მზრუნველობა; 08/04/2021 ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმეტი; 06/04/2021 ეპიდემიოლოგია; 05/04/2021 მედიცინის ისტორია; 02/04/2021 მართვა და ლიდერობა; 02/04/2021 პედაგოგიკის და ანდრაგოგიკის საფუძვლები; 28/02.2020 ქირურგია; 20/02/2020 სამედიცინო ფარმაკოლოგია; 21/02/2020 ნერვული და ფსიქოლოგიური დაავადებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯს არ დაურღვევია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული კვალიფიკაციის მინიჭების წესები.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების რამდენიმე ნიმუში, რომლითაც დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო პუნქტი - სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. ხელშეკრულებებს ხელს აწერენ კოლეჯის დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანის ან სსსმ/შშმ-ს შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი. ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიულ სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის მომენტიდან; ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ აპლიკანტი, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე გაეცნობა დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებს, ხელშეკრულების შინაარსს და ამის შემდგომ ხდება ხელის მოწერა ხელშეკრულებაზე.

<u>მოქალაქე თ.ე.-ს განცხადების იმ ნაწილს, სადაც იგი საუბრობს იმასთან დაკავშირებით,, რომ მას ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია არ დასტურდება. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:</u>

- კოლეჯ „ბარაკონის“ დირექტორის №76 (24/12/2018) ბრძანებით მოქალაქეს მიენიჭა პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი, მიმღები კომისიის 2018 წლის 24 დეკემბერს სხდომის ოქმის №6 **(დანართი №7)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გადაწყვეტილების და კოლეჯის წესდების მე-6 მუხლის საფუძველზე. მასთან გაფორმებულია სასწავლო მომსახურების ხელშეკრულება **(დანართი №8)** პე/93 (24/12/2018), რომელზეც მოქალაქე თ.ე.-ს ხელმოწერაა დაფიქსირებული.

- ხელშეკრულებაში სხვა საკითხებთან ერთად წარმოდგენილია სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი, რომლის მიხედვით სტუდენტს წელიწადში 3-ჯერ უნდა გადაეხადა სწავლის საფასური: პირველი ნაწილი შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე, მეორე ნაწილი მერვე კვირას და მესამე ნაწილი შესაბამისი სასწავლო წლის მეოცე კვირას. ხელშეკრულების 4.3 პუნქტის თანახმად მხარეები უფლებამოსილები არიან შეთანხმდნენ განსხვავებულ გრაფიკზე, რომელიც დანართის სახით უნდა ერთვოდეს მას. **კონკრეტულ მოცემულ შემთხვევაში ასეთი მოთხოვნა მოქალაქეს არ დაუყენებია.**
- ხელშეკრულების 3.2. პუნქტით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შეჩერება-აღდგენის და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

იმის დასადგენად, იყო თუ არა შეთანხმება დირექტორსა და მოქალაქე თ.ე.-ს შორის პრაქტიკული კომპონენტის არ გავლასთან დაკავშირებით, ექსპერტები გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორს. კოლეჯის დირექტორმა უარყო შეთანხმების არსებობა და მტკიცებულებად წარმოადგინა მისივე გამოცემული სამართლებრივი აქტები პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე დაშვებასთან დაკავშირებით **(დანართი №9; დანართი №10).** სხვა პროფესიული სტუდენტებთან ერთად ბრძანებებში (03.07. 2020 ბრძანება №37: 02.04.2021 ბრძანება №17) მითითებულია მოქალაქე თ. ე.-ს სახელი და გვარი. შესაბამისად დგინდება, რომ ამ შემთხვევაშიც მოქალაქის მიერ მოცემული ინფორმაცია არ დასტურდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯ „ბარაკონსა“ და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

<u>რაც შეეხება ჩანაწერს ხელშეკრულებაში მარეგულირებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია უფრო ნათელი გახდეს ჩანაწერი და დაკონკრეტდეს რომელ დოკუმენტებზეა საუბარი, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.</u>

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯ „ბარაკონში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის VII თავის მუხლი 16-ით.

დოკუმენტის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის); პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ).

დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ ყველა ზემოხსენებული შემთხვევისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული სტუდენტი (სსსმ პირის და არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

კოლეჯმა წარმოადგინა რამდენიმე ნიმუში ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და დაკვირვების ფურცლის, რომელთა შორის არის სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც, რომლის შემუშავებაშიც მშობელი იყო ჩართული.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს კოლეჯი შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო შინაგანაწესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები;
- დაკვირვების ფურცლები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგები;
- სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუშები;
- ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ კოლეჯ „ბარაკონში“ პროფესიული სტუდენტი სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლების მხრიდან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის „სასწავლო შინაგანაწესის“ მე-18 მუხლის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად იღებს დირექტორის მოადგილისგან, პროგრამის კოორდინატორისგან, პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან/პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროგრამის განმახორციელებლებისგან. ამასთან, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება კონფიდენციალურობის დაცვით, რაც ასევე დაგვიდატურეს სტუდენტებმა, გასაუბრების დროს.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბრის №111 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო შინაგანაწესის“ შესაბამისად, სწავლის დაწყების მომენტიდან ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სასწავლო წლის დასაწყისში, დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯის ვებგვერდსა და Facebook გვერდს. ვებგვერდის გაცნობის პარალელურად პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტები/მსმენელები ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრუქტურას, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და მათ უფლება-მოვალეობებს.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ, სწავლის დაწყებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გააცნო კოლეჯის ვებგვერდი და Facebook გვერდი და მოქმედი მარეგულირებელი აქტები, რომლებიც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს, **რამაც ხელი შეუწყო პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;**

კოლეჯ „ბარაკონის“ მიერ შემუშავებული საქმის წარმოების წესის თანახმად კოლეჯი ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად (3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა).

ექსპერტების მიერ გადამოწმდა საკითხი მოქალაქე თ.ე.-ს მიერ 2022 წლის 25 თებერვალს პირადი დოკუმენტაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, დაწესებულების მხრიდან უარის მიღების თაობაზე და დადგინდა, რომ, რომ მოქალაქის მიერ დაწერილი განცხადება **(დანართი №11)**, იმავე დღეს აიტვირთა eflow-ში **(დანართი №12; დანართი №13) საქმისწარმოების წესების სრული დაცვით. შემოწმდა ასევე მოქალაქის პირადი საქმეც, რომელშიც განთავსებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით** (თავი II. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე) - განსაზღვრული ყველა დოკუმენტი: ხელმოწერილი განცხადება კოლეჯში პირადი საბუთების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ჩაბარებასთან დაკავშირებით; სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ მენჯის სკოლის დირექტორის ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მან 1992 წელს დაამთავრა მენჯის საჯარო სკოლა და მასზე გაიცა განათლების ატესტატი; 2 ფოტოსურათი. მოქალაქის პირად საქმეში ინახება ასევე მისი პირადობის მოწმობის ასლი, სასწავლო მომსახურების ხელშეკრულება და სკოლის ატესტატის დუბლიკატი, რომელიც მან მოგვიანებით 2019 წელს წარმოადგინა.

ექსპერტთა მიერ კონკრეტული შემთხვევის შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

კოლეჯ „ბარაკონის“ „სასწავლო შინაგანაწესით“ (მუხლი 16) განსაზღვრულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს განცხადებით/ინიცირებით მიმართოს კოლეჯს და მოითხოვოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება/დაფინანსება. დირექტორს ფინანსურ მენეჯერთან ერთად განხილვისთვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის ეძლევა 10 დღიანი ვადა. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინიციატორს/ინიციატორთა ჯგუფს ეცნობება არგუმენტირებული უარი. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია ღონისძიების მომწყობი, რომელიც ინიციატივის საფუძველზე განსაზღვრავს და შეათანხმებს დირექტორთან ვადებს, რესურსებს და დაგეგმილ აქტივობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კოლეჯის დამფუძნებელთა საბჭოს 2012 წლის 16 აპრილის №1 სხდომის ოქმით დამტკიცებული (ცვლილება 2021 წლის 25 ნოემბრის №3 სხდომის ოქმით) „შპს ბარაკონის წესდების“ მე-14 მუხლით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტის უფლება-მოვალეობები, მათ შორის, სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინიციატივების მხარდაჭერა.

კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესაბამისად, ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება წარმოადგენს ერთ-ერთ ამოცანას, საანგარიშო პერიოდში ექსკურსიებისა და სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზება იყო დაგეგმილი, თუმცა მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული COVID-19-ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ჰიბრიდულ რეჟიმში, რის გამოც აღნიშნული აქტივობები შეზღუდული ფორმატით განხორციელდა. მიუხედავად ამისა, კოლეჯმა მაინც დააორგანიზა სხვადასხვა სახის ექსტრაკურიკულური აქტივობები და ეცადა თავის წვლილი შეეტანა Covid19-ით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრაში, კერძოდ ვაქცინაციის პროცესის წახალისებაში. ამ მიზნით: არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პარტნიორობით, ბარაკონის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ვაქცინაციის სიკეთეებზე, ვაქცინაციის თემაზე პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ 3 საინფორმაციო შეხვედრაში ბარაკონის სოციალური არხების საშუალებით, აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ვაქცინაციის სიკეთეებზე და აცრის აუცილებლობაზე სხვადასხვა ფორმატით (ვიდეოები, ახალი ამბები, პოსტერები და სხვ.). ერთის მხრივ კოლეჯი მონაწილეობდა სხვადასხვა აქტივობებში და მეორეს მხრივ, ასევე აორგანიზებდა სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ: ბარაკონის პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, სადაც ორმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა ნომინაციაში "ყველაზე ინტერაქტიული შეფასება“ გაიმარჯვა. კოლეჯი მონაწილეობდა განათლების მე-11 საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც ონლაინ გაიმართა და იყო კარგი პლატფორმა ბარაკონის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა აისეკ საქართველოსთან ერთად და პროფესიულ სტუდენტებს საზღვარგარეთ ახალგაზრდული მოხალისეობრივი და ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ მიეწოდა ინფორმაცია. კარიტასის ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, ბარაკონის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი. მოეწყო ექსკურსია კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის (ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, მსგავსი აქტივობები შეჩერებულია სტუდენტებისთვის). მოეწყო დიპლომების გადაცემის ოფიციალური ღონისძიება.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

დაწესებულებაში ხდება პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საჭიროებების კვლევა. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომლის შესაბამისადაც, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი ამოცანებია: ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; გ) გამოყენებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ინსტრუმენტების რელევანტურობის შეფასება შესაფასებელ სწავლის შედეგებთან; აღნიშნულის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფიდან მიღებულ მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს. აღნიშნულის შესახებ განსაზღვრულია 2017 წლის 27 ნოემბრის №62 ბრძანებით დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაშიც“, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციად გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის კითხვარების შემუშავება, კვლევების ჩატარება და ამის საფუძველზე დირექტორისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია კვლევების ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2021 წლის 8 დეკემბრის №111 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო შინაგანაწესი“;
- დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- დირექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის №62 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- კოლეჯის დამფუძნებელთა საბჭოს 2012 წლის 16 აპრილის №1 სხდომის ოქმით დამტკიცებული (ცვლილება 2021 წლის 25 ნოემბრის №3 სხდომის ოქმით) „შპს ბარაკონის წესდება“;
- კვლევის ანგარიშები;
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

„შპს ბარაკონის წესდების“ მე-14 მუხლით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტის უფლება-მოვალეობები, რომლის შესაბამისადაც, მოვალეობას წარმოადგენს დამსაქმებლების ბაზის შექმნა და პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებულ კვლევაში მონაწილეობის მიღება, პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება და კარიერული მხარდაჭერის სერვისების უზრუნველყოფა.

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესაბამისად, ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში ვიზიტი და ღია კარის დღეების ორგანიზება, სამოქმედო გეგმის მიხედვით, საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და სასწავლო ტურების ორგანიზება გათვალისწინებული იყო ივნისი-ივლისის პერიოდში. მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული COVID-19-ის გავრცელების გამო შეზღუდვის მიზნით, სასწავლო პროცესი ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობდა (მხოლოდ პრაქტიკული სწავლებები ადგილზე, დანარჩენი ონლაინ), რის გამო აღნიშნული აქტივობები ფიზიკურად ვერ განხორციელდა. თუმცა, ონლაინ პლატფორმების საშუალებით მაინც დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები: შეიქმნა სპეციალური რეგისტრაციის ბმული სწავლის მსურველთა სიის შესადგენად, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ წინასწარ არაოფიციალური რეგისტრაციის გავლა ბარაკონში და პროგრამების შესახებ საკონსულტაციო ინფორმაციის მიღება ინდივიდუალურად; დაიგეგმა და განხორციელდა ონლაინ საკონსულტაციო/ საინფორმაციო შეხვედრები სწავლის მსურველთა სიაში დარეგისტრირებული პირებისთვის.**ყოველივე ზემოხსენებული ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის ხორციელდება კარიერული მხარდაჭერა.**

2. **პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტის უფლება-მოვალეობად განსაზღვრულია დამსაქმებლების ბაზის შექმნა და პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით, **კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია პარტნიორ ან სხვა ორგანიზაციებში ვაკანსიების არსებობის შესახებ.**

3. **პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;**

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“ განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გარკვევა, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).

დაწესებულებას ჩატარებული აქვს 2021 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის ანგარიში განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს;**

კოლეჯში შემუშავებულია კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, რომლის გამოყენებით ჩატარებულია კვლევა და კვლევის ანგარიშში გაწერილია რეკომენდაცია: სასურველია თითოეული პროგრამის ფარგლებში აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, მათ შორის ზოგადი მოდულების ჭრილში. გამომდინარე იქიდან, რომ კურსდამთავრებულები ისურვებდნენ უცხო ენისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დონის გაუმჯობესებას, სასურველია სწავლების პროცესში აქცენტი გაკეთდეს ზოგადი მოდულების სწავლების საჭიროების მნიშვნელობაზე და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. რადგან პროფესიული განათლება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ განათლებას, შეფასების მთავარი სამიზნეც პრაქტიკული უნარების დემონსტრირება უნდა გახდეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესი და განხორციელდეს მეცადინეობები/ლექციები. გამოკითხულ რესპოდენტთა მესამედს მიაჩნია, რომ სწავლებისა და შეფასების მეთოდები მეტნაკლებად საჭიროებენ გაუმჯობესებას. შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ამა თუ იმ სწავლის შედეგზე, რომელი სწავლება-სწავლის მეთოდი გამოიყენონ. **ამ მიზნით, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დამფუძნებელთა საბჭოს 2012 წლის 16 აპრილის №1 სხდომის ოქმით დამტკიცებული (ცვლილება 2021 წლის 25 ნოემბრის №3 სხდომის ოქმით) „შპს ბარაკონის წესდება“;
- დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №27 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1 - ბრძანება №49 (29.07.2021წ.) - პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;

დანართი №2 - ბრძანება №3 (16.01.2022წ.) - პროფესიული სტუდენტებისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

დანართი №3 - ამონაწერი e-vet-დან;

დანართი №4 - შეფასების უწყისები;

დანართი №5 - შეფასების უწყისები;

დანართი №6 - შეფასების უწყისები;

დანართი №7 - ბრძანება №76 (24.12.2018წ.) - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ;

დანართი №8 - თ.ე.-ს პირადი საქმე;

დანართი №9 - ბრძანება №17 (02.04.21წ.) - პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დანართი №10 - ბრძანება №37 (03.07.20წ.) - პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების შესახებ;

დანართი №11 - თ.ე.-ს განცხადება;

დანართი №12 - ამონაწერი ეფლოუდან;

დანართი №13 - ამონაწერი ეფლოუდან;

დანართი №14 - დღის წესრიგი.

26.04.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: